ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

154

განკარგულება № _____

27 ოქტომბერი

"____" _____ 2014 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პატრონაჟით განსახორციელებელი ღონისძიების – სასკოლო კონკურსი – „წიგნის მეგობრები 2014" გამართვის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" და "ქ. თბილისის საკრებულოს ეგიდით ან/და პატრონაჟით გასამართი სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2008 წლის 3 ნოემბრის №73 დადგენილების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შეთანხმებულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პატრონაჟით სასკოლო კონკურსის – „წიგნის მეგობრები 2014" ღონისძიების გამართვა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ახალგაზრდა თაობაში წიგნის კითხვისადმი ინტერესის გაზრდასა და მათ ინტელექტუალურ - ანალიტიკური აზროვნების განვითარების ხელშეწყობას.

2. ზემოაღნიშნული ღონისძიების დროულად და ეფექტურად გამართვის უზრუნველსაყოფად (აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯების გაწევა) დაევალოს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს "ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 7 მარტის №5-5 გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის დამტკიცებული ასიგნებებიდან გამოიყენოს 7 945,00 (შვიდიათასცხრაასორმოცდასუთი) ლარი და ჩაირიცხოს საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანნი"–ს ანგარიშზე.

3. განკარგულების შესრულების კონტროლი ერთობლივად დაევალოთ: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიას (თ. ტალიაშვილი) და საკრებულოს აპარატს (ე. დუმბაძე).

4. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**